

## უძრავი ქონების ბაზარი... 2014 (10)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის ოქტომბრის თვეში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 5.2%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 46 388 ერთეული შეადგინა. ა.წ. ოქტომბერი 2010-2013 წლების იმავე თვესთან შედარებით ცალსახად ზრდით გამოირჩევა: 2010 წლის ოქტომბერთან (30 632 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 51.4%-ით, 2011 წლის ოქტომბერთან (38 086 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 21.8%-ით, 2012 წლის ოქტომბერთან (41 776 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 11.0%-ით და 2013 წლის ოქტომბერთან (44 101 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 5.2%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 8.9%-ით გაიზარდა: ზრდა დაფიქსირდა მეორადი (3.9%-ით), ხოლო კლება პირველადი (0.6%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2014 წლის ოქტომბრის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010 = 100) დაფიქსირდა 1.103 დონეზე, რაც აღემატება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (1.048).

წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა უძრავი ქონების მეორადი (8.7%-ით), ხოლო შემცირდა პირველადი (9.7%-ით) ტრანზაქციების რაოდენობა. 2014 წლის ოქტომბრის თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 7 546, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 38 842 ერთეული შეადგინა; სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010 = 100) კი პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით შესაბამისად 0.682 და 1.253 დონეებზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით შემცირდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: ა.წ. ოქტომბერში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 83.7%-ს მეორადი, ხოლო 16.3%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენდნენ (2013 წლის ოქტომბერში კი - შესაბამისად 81.1% და 18.9%).

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა...

ოქტომბერი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა  
ოქტომბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	ოქტომბერი	
		2013	2014
<b>რაოდენობა</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	8355	7546
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	35746	38842
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	44101	46388
<b>სტრუქტურა</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	18.9	16.3
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	81.1	83.7
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	17.6	-0.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	7.0	3.9
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	8.9	3.1
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	24.1	-9.7
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	2.0	8.7
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	5.6	5.2
<b>სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.755	0.682
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.153	1.253
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.048	1.103

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

Վճարահարմարության ցուցանիշի փոփոխությունները... 2010-2014  
Վճարահարմարության ցուցանիշի համեմատական փոփոխություն (ՀՀ-ում)

